ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N1/115-2012

(CPV კოდი 45235200 – აეროდრომების, ასაფრენ-დასაჯდომი ბილიკებისა და სამანევრო ზედაპირების მშენებლობა)
საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობის განკარგულება N2019, 13.10.11 წ.

ქ.თბილისი **18 მაისი 2012 წ.**

ერთი მხრივ
შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონში ჭანტურიას ქ. № 12, ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, აეროპორტი; ს.კ №404389693) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნოდარ ლომინაძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი")

და მეორე მხრივ
შ.პ.ს. "კომპანია ბლექ სი გრუპი", საქართველო, ქ. თბილისი, ვ. ფშაველას №71 ტელ: +995 32 2207474, ს/კ 204477734, ბანკის რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკი" მარჯანიშვილის ფილიალი, კოდი 220101850, ანგარიშის ნომერი 107467338 სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი")

ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ კოპიტნარის აეროდრომის ასაფრენ-დასაფრენი ზოლის გაახლების სამუშაოების შესყიდვა ამ ხელშეკრულების, მის განუყოფელ ნაწილად არსებული ხარჯთაღრიცხვისა (დანართი 1) და გეგმა-გრაფიკის (დანართი 2) შესაბამისად.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **12 970 751,97 (თორმეტი მილიონ ცხრაას სამოცდაათი ათას შვიდას ორმოცდათერთმეტი ლარი და 97 თეთრი) ლარს.**
2.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაში შედის მიმწოდებლის ყველა ხარჯი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, რომლის გადახდა ეკისრება მიმწოდებელს.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის მიღება წარმოებს „მიღება-ჩაბარების" აქტის სახით. აღნიშნული „მიღება-ჩაბარების" აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის და/ან კოორდინატორის დასკვნის გათვალისწინებით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის - ფორმა N2-ის საფუძველზე არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა.
3.2. შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის - ფორმა N2-ისა (უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით) და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ხდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა.
3.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე ერთობლივად პასუხისმგებელი პირები არიან: ნოდარ ლომინაძე -

დირექტორის მოადგილე საოპერაციო დარგში; ავთანდილ არჩუაძე - ინფრასტრუქტურის განვითარების დეპარტამენტის უფროსი; ვასილ კუნჭულია - აეროდრომებისა და შენობა-ნაგებობების მშენებლობის კოორდინატორი.

მუხლი 4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებლის მიერ წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის შესაბამისი საბანკო გარანტიის წარდგენიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის ავანსს. ავანსის ოდენობა შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 25%-ს – 3 242 687,99 (სამი მილიონ ორასორმოცდაორი ათას ექვსასოთხმოცდაშვიდი ლარი და 99 თეთრი) ლარს (გადასახადების ჩათვლით). საბანკო გარანტია ძალაში უნდა დარჩეს, ვიდრე წინასწარი გადახდა არ იქნება კომპენსირებული. ამასთან, ავანსის თანხა პროგრესულად შემცირდება მიმწოდებლისათვის გადახდილი თანხის პროპორციულად. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ მიმწოდებლის მიერ ყოველი შესრულების წარმოდგენისას ანაზღაურდება მისი 75%, ხოლო 25% გაიქვითება ავანსად გადახდილი თანხიდან.

4.2. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს შესაბამის შესრულებას და ანგარიშ-ფაქტურას ფაქტობრივად განხორციელებულ სამუშაოებზე თანხის გადახდის მოთხოვნით.

4.3. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ წარმდგენილ შესრულებას და ადასტურებს მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხის ოდენობას.

4.4 ყველა გადახდის დროს მიმწოდებელი ითვალისწინებს საავანსო თანხების ოდენობებს პროპორციულად. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს გადახდა.

4.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ანგარიშსწორებისათვის საჭირო დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან არასრულად (შეცდომით) წარმოდგენის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის ანაზღაურება.

4.6. მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარი ანგარიშსწორების შედეგად მიღებული თანხები გამოიყენოს მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და სხვა პირობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტით გათვალისწინებული სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულოს არაუგვიანეს 2012 წლის 15 სექტემბრისა.

5.2. სამუშაოთა შესრულება ხორციელდება ხარჯთაღრიცხვისა (დანართი N1) და გეგმა-გრაფიკის (დანართი N2) შესაბამისად.

5.3. თუ აშკარაა, რომ ხელშეკრულების 5.1. პუნქტში ან/და გეგმა გრაფიკში მითითებული ვადები ირღვევა, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შემსყიდველს. ამ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია განხორციელდეს ვადის გადაწევა. ვადის დარღვევის ობიექტური მიზეზ(ებ)ის არარსებობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ დაეთანხმოს ვადების გადაწევას; ამ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა დამატებითი ძალების მობილიზებისათვის და დარღვეული ვად(ებ)ის აღდგენისათვის. ვადის დარღვევის შემთხვევაში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირობები.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, უზრუნველყოს მოხმარებული კომუნალური (ელექტროენერგია, გაზი და წყალი) ხარჯების ანაზღაურება.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.1.1. სამუშაოს შესრულებისას დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, სამუშაო შეასრულოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ჯეროვნად და ხარისხიანად;

6.1.2. დაუყოვნებლივ შეატყობინოს შემსყიდველს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც აბრკოლებენ სამუშაოთა მიმდინარეობას და მის მიერ ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულფასოვან შესრულებას;

6.1.3. საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს მის მიერ ჩატარებულ სამუშაოზე გამოვლენილი დეფექტი ან ნაკლი;

6.1.4. სამუშაოების შესრულებისას დაასაქმოს კვალიფიციური მუშახელი;
6.1.5. უმოკლეს ვადაში მიაწოდოს შემსყიდველს მის ხელთ არსებული ინფორმაცია მოსალოდნელ მოვლენებზე ან გარემოებებზე, რომლებსაც შეუძლია უარყოფითად იმოქმედონ ხარისხზე, შეაყოვნონ სამუშაოთა ჩატარება ან გაზარდონ სახელშეკრულებო თანხა;
6.1.6. შეასრულოს სამუშაო უსაფრთხო და ეკოლოგიურად მისაღები გზით და დაიცვას ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. წინააღმდეგ შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს;
6.1.7. სამუშაოების დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ორი კვირისა, თავისი ძალებით და სახსრებით გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ.;
6.1.8. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
6.1.9. ზედმიწევნით დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
6.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის თანხის გადახდა ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
6.2.2. დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
6.2.3. წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს სამუშაოს შესრულების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;
6.2.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
6.3.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება;
6.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.
6.4. შემსყიდველს უფლება აქვს:
6.4.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი;
6.4.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა მიერ წერილობითი ფორმით.
7.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (მათ შორის არაჯეროვნად შესრულებისათვის) ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ის ოდენობით.
8.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

9.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება საბანკო გარანტია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით. აღნიშნული გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

9.2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების გამო.

10. გარანტია

10.1. სამუშაოების საგარანტიო ვადა განისაზღვრება 12 (თორმეტი) თვით.

10.2. საგარანტიო ვადის დინება იწყება სამუშაოების დასრულებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან.

10.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დეფექტი მიყენებულია მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების, არასწორი ექსპლუატაციისა და მექანიკურად დაზიანების გამო.

10.4. თუ საგარანტიო ვადის ათვლიდან შესყიდვის ობიექტის ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში შესყიდვის ობიექტის ცალკეული სისტემა ან ცალკეული დეტალი სისტემატურად ზიანდება, გამოდის მწყობრიდან ან შეუძლებელი ხდება მისი შემდგომი ექსპლუატაცია, იგულისხმება, რომ იგი უხარისხოა. ასეთ შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით შეცვალოს დეტალი ან მოწყობილობა.

10.5. შემსყიდველის მიერ, შესყიდვის ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლის მომენტიდან გამოვლენილი დეფექტის გამომწვევი მიზეზების დადგენასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ჩატარდეს დამოუკიდებელი ექსპერტიზა.

11. ზოგადი დებულებები

11.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით.

11.2. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება მხარეთა შეთანხმებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

11.3. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

11.4. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

11.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

11.6. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.7. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.8. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.9. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.10. ხელშეკრულებაში ხარვეზის არსებობისას, გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობის ნორმები.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულების დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ასეთი დარღვევა გამოწვეულია ისეთი დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით (ფორსმაჟორული გარემოება), რომლის წინაწარ გათვალისწინება ანდა გონივრული მეთოდებით გადალახვა შეუძლებელია. ასეთი გარემოებებია (და არამხოლოდ) მიწისძვრა, ხანძარი, ქარიშხალი, დიდთოვლობა, წყალდიდობა, ეპიდემია, სამხედრო მოქმედებები, მესამე პირების გაფიცვები, სახელმწიფოს ცენტრალური ან ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილების არარსებობა, კანონმდებლობაში შესული ცვლილებები და სხვა ასეთი.

12.2 ფორსმაჟორული გარემოების არსებობა უნდა იყოს საყოველთაოდ ცნობილი ან დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოსა თუ დაწესებულების მიერ ოფიციალურად.

12.3 მხარე ვალდებულია, პირველივე შესაძლებლობისთანავე შეატყობინოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას უფლება ერთმევა, ვალდებულების შეუსრულებლობა გაამართლოს ფორსმაჟორზე მითითებით.

12.4 თუ ფორსმაჟორული გარემოება გრძელდება იმდენ ხანს (მაგრამ უწყვეტად არანაკლებ 10 კალენდარული დღისა), რომ მისი მიზეზით ვერშესრულებადი ვალდებულების შეუსრულებლობა მხარის მიერ მეორე მხარისათვის ინტერესს უკარგავს ამ ხელშეკრულების კვლავ არსებობას, ამ მეორე მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება.

12.5 მხარეებს შეუძლიათ, ფორს-მაჟორის დადგომის შემთხვევაში, ურთიერთშეთანხმებით შეწყვიტონ, შეაჩერონ ან შეცვალონ ეს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნას:

ა) ურთიერთვალდებულებების შესრულებით;

ბ) მხარეთა შეთანხმებით;

გ) ცალმხრივად შემსყიდველის მიერ, თუ მიმწოდებელი უხეშად ან/და არაერთგზის დაარღვევს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებას;

დ)საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველმა შეწყვეტამდე 10 დღით ადრე უნდა აცნობოს მიმწოდებელს ამის შესახებ.

14. დასკვნითი დებულებები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერისთანავე და ძალაშია მხარეთა მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების სრულ შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2012 წლის 31 დეკემბრისა.

14.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილი და მხარეთაგან ხელმოწერილია შევსებული სახით ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად თითოეული მხარისთვის

14.3 წინამდებარე ხელშეკრულებას ერთვის დანართი 1 – ხარჯთაღრიცხვა, დანართი 2 – გეგმა-გრაფიკი. აღნიშნული დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"	**შ.პ.ს. "კომპანია ბლექ სი გრუპი",**
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონში ჭანტურიას ქ. # 12, ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, აეროპორტი;	საქართველო, ქ. თბილისი, ვ. ფშაველას №71 ტელ: +995 32 2207474
ს.კ #404389693	ს/კ 204477734,
საბანკო რეკვიზიტები: სს "თი ბი სი ბანკი",	ბანკის რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22;	მარჯანიშვილის ფილიალი,
ა/ა: GE 47 თ 06 1553 6070 1000 01	კოდი: TBCBGE22,
	ა/ა: GE61TB1100000107467338
ნოდარ ლომინაძე	ამირან შამუჭაძე
დირექტორის მ/შ	დირექტორი

№	სამუშაოს დასახელება	განზ-ბა			
			რაოდ-ბა	ერთ ფასი	ღირებ-ბა
1	2	3	4	5	6
I	**სამუშაოები ა.დ.ზოლზე. სიგრძე 2501.8 მ.**	გრძ.მ	2502	-	-
1	ადზ-ზე არსებული ფილების დემონტაჟი და გატანა 2 კმ-ზე	ც	9166	93,05	852.896,30
2	ტერიტორიის დასუფთავება (არსებული ზედაპირის მოსწორება, სამშენებლო ნაგვის მოხსნა გატანა, დაგვა)	მ²	110088,00	1,50	165.132,00
	არსებული საფუძვლის თერმონაკერების დამუშავება სპეც ბიტუმით	ტ	24,00	4.500,00	108.000,00
3	ბიტუმის ემულსიის მოსხმა	ტ	66,05	1.600,00	105.684,48
4	შავი ღორღი 9სმ	ტ	18825	144,04	2.711.553,00
7	გეოგრიდის ასფტექსის გაშლა 100კნ	მ²	110088,00	10,00	1.100.880,00
5	საფარის ქვედა ფენა – მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ღორღოვანი ასფალტბეტონის ცხელი ნარევი ტიპი B მარკა II სისქით 6 სმ	მ²	110088,00	24,40	2.686.147,20
6	ბიტუმის ემულსიის მოსხმა	ტ	33,03	1.600,00	52.842,24
8	საფარის ზედა ფენა - წვრილმარცვლოვანი მკვრივი ასფალტბეტონის ცხელი ნარევი ტიპი B მარკა II (დოპინგის დანამატით) სისქით 4სმ	მ²	110088,00	21,38	2.353.681,44
	ჯამი				**10.136.816,66**
	ადზ გაგანიერება 1მ-ით და მოსაბრუნებელი მოედნის (225082) მოწყობა				
2	ტერიტორიის დასუფთავება (არსებული ზედაპირის მოსწორება, სამშენებლო ნაგვის მოხსნა გატანა, დაგვა)	მ²	4662,00	1,50	6.993,00
3	ბიტუმის ემულსიის მოსხმა	ტ	2,80	1.600,00	4.475,52
4	შავი ღორღი 9სმ	ტ	797	144,04	114.828,69
7	გეოგრიდის ასფტექსის გაშლა 100კნ	მ²	4662,00	10,00	46.620,00
5	საფარის ქვედა ფენა – მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ღორღოვანი ასფალტბეტონის ცხელი ნარევი ტიპი B მარკა II სისქით 6 სმ	მ²	4662,00	24,40	113.752,80
6	ბიტუმის ემულსიის მოსხმა	ტ	1,40	1.600,00	2.237,76
8	საფარის ზედა ფენა - წვრილმარცვლოვანი მკვრივი ასფალტბეტონის ცხელი ნარევი ტიპი B მარკა II (დოპინგის დანამატით) სისქით 4სმ	მ²	4662,00	21,38	99.673,56
	ჯამი				**388.581,33**
	დამუხრუჭების ბოლო ზოლი				
2	ტერიტორიის დასუფთავება (არსებული ზედაპირის მოსწორება, სამშენებლო ნაგვის მოხსნა გატანა, დაგვა)	მ²	5600,00	1,50	8.400,00
3	ბიტუმის ემულსიის მოსხმა	ტ	3,36	1.600,00	5.376,00
4	შავი ღორღი 9სმ	ტ	958	144,04	137.932,70
7	გეოგრიდის ასფტექსის გაშლა 100კნ	მ²	5600,00	10,00	56.000,00
5	საფარის ქვედა ფენა – მსხვილმარცვლოვანი ფოროვანი ღორღოვანი ასფალტბეტონის ცხელი ნარევი ტიპი B მარკა II სისქით 6 სმ	მ²	5600,00	24,40	136.640,00
6	ბიტუმის ემულსიის მოსხმა	ტ	1,68	1.600,00	2.688,00
8	საფარის ზედა ფენა - წვრილმარცვლოვანი მკვრივი ასფალტბეტონის ცხელი ნარევი ტიპი B მარკა II (დოპინგის დანამატით) სისქით 4სმ	მ²	5600,00	21,38	119.728,00
	ჯამი				**466.764,70**
	ჯამი			-	***10.992.162,69***
	დღგ				***1.978.589,28***
	ჯამი				***12.970.751,97***

ამირან მამუჭაძე _____
/დირექტორი/

ქ.ქუთაისის კოპიტნარის აეროდრომის ასაფრენ-დასაფრენი ზოლის რეაბილიტაცია

სამუშაოთა წარმოების გრაფიკი

#	შესასრულებელი ღონისძიება	მაისი						ივნისი						ივლისი						აგვისტო						სექტემბერი					
		~~01-05~~	~~06-10~~	~~11-17~~	18-20	21-25	26-31	01-05	06-10	11-15	16-20	21-25	26-30	01-05	06-10	11-15	16-20	21-25	26-31	01-05	06-10	11-15	16-20	21-25	26-31	01-05	06-10	11-15	16-20	21-25	26-30
1.	ადზ რეაბილიტაცია																														
1.1.	ხელშეკრულების გაფორმება																														
1.2.	სამუშაოების პროექტის მომზადება																														
1.3.	სამუშაოების მობილიზაცია																														
1.4.	ადზ არსებული ბეტონის ფილების დემონტაჟი																														
1.5.	არსებული საფუძვლის გასუფთავება და თერმონაკერების ბიტუმით დამუშავება																														
1.6.	შავი ღორღის ფენის მოწყობა																														
1.7.	საფარის ქვედა ფენის მოწყობა																														
1.8.	საფარის ზედა ფენის მოწყობა																														
1.9.	დემობილიზაცია																														

ამირან მამუჭაძე----------